ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 224 (10310) | ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

# საბოლოო კომუნიკე

## საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოლაპარაკების შესახებ

17-20 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-3 განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვილი შტოფი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ოტო ნუშკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლოტარ ბოლცი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბრუნო ლეიშნერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იოჰანეს კენიგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე პეტერ ფლორინი, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პროფესორი ერიხ კორენსი, გლეხთა დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი ბერტოლდ როზე, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი მანფრედ გერლახი, დელეგაციის მდივანი ელჩი ფრიც გროსე.

მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას და შემდგომ განვითარებას.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრულ და გულითად ვითარებაში და დამთავრდა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების" ხელმოწერით. ორივე მხარემ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ეს ხელშეკრულება, რომელიც ემყარება თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს, ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის უკვე ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობისა და მჭიდრო თანამშრომლობის განმტკიცებას და შემდგომ განვითარებას. ორივე მხარე დარწმუნებულია აგრეთვე, რომ ხელშეკრულება ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება და ამით ხელს შეუწყობს გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს, ერთიანობის აღდგენას.

მოლაპარაკების მსვლელობაში მოხდა აზრთა გაცვლა საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს და, კერძოდ, იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის მომავალ თათბირთან. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ აღნიშნულ თათბირზე იმ საკითხების ნაყოფიერი განხილვისათვის, რომლებიც გერმანიას შეეხება, საჭიროა ამ საკითხების განხილვაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, ისევე როგორც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობა.

მოხდა აზრთა გაცვლა სსრ კავშირში დარჩენილი იმ ყოფილი გერმანელი სამხედრო ტყვეების ნაწილის საკითხზე, რომლებიც სასჯელს იხდიან მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათათვის. მიიღო რა მხედველობაში ამ საკითხზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართვა, აგრეთვე გაითვალისწინა რა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის თხოვნა, საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი კეთილსასურველად განიხილავს ამ საკითხს და თავის წინადადებებს წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ქვემოთ ქვეყნდება მოსკოვში 20 სექტემბერს ხელმოწერილი „ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ", აგრეთვე ტექსტი წერილებისა, რომლებიც გაცვალეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოტარ ბოლცმა.

# მოსკოვიდან გაემგზავრა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ი. კ. პაასიკივი

20 სექტემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ი. კ. პაასიკივი. მასთან ერთად გაემგზავრნენ პრემიერ-მინისტრი უ. კ. კეკონენი და პრეზიდენტის სხვა თანმხლები პირები.

... ცენტრალური აეროდრომი მორთულია ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. დილის 10 საათისათვის პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივისა და ფინეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეთა გასაცილებლად აქ მოვიდნენ ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრები ვ. გ. ბაკაევი, ბ. პ. ბეშჩევი, თ. დ. ვარაკსინი, გ. კ. ჟუკოვი, ა. გ. ზვერევი, ი. გ. კაბანოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ი. ი. ნოსენკო, გ. მ. ორლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი და სხვა ოფიციალური პირები.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გააცილეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ბოლცმა, ფინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ე. ა. ვუორიმ, მოსკოვში აკრედიტებულმა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა.

გაცილებისას ჩამწკრივებული იყო მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაული; შესრულებულ იქნა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მოსკოვიდან გამგზავრების წინ პრეზიდენტმა ი. კ. პაასიკივიმ მიკროფონთან გააკეთა მოკლე განცხადება.

— კიდევ ერთხელ გიძღვნით მადლობას ჩემი სახელით და ჩემი კოლეგების სახელით, — თქვა პრეზიდენტმა, — იმ დიდი სტუმართმოყვარეობისა და გულთბილი გრძნობებისათვის, რომლებსაც ჩვენ აქ შევხვდით.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ იმას, რაზეც უკვე ვილაპარაკე: ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა მომავალშიც დარჩეს ისეთივე მეგობრული, კარგი და გულთბილი, როგორიც ახლაა. ვუსურვებ წარმატებას საბჭოთა კავშირს და მის ხალხებს. ნახვამდის.

პრეზიდენტი ი. კ. პაასიკივი ემშვიდობება კ. ე. ვოროშილოვს, ნ. ა. ბულგანინს, მ. გ. პერვუხინს, მ. ა. სუსლოვს და სხვა გამცილებლებს.

ყველანი თვითმფრინავებისაკენ მიდიან. პრეზიდენტი ადის თვითმფრინავზე, იღიმება და გულითადად აქნევს ხელს. (საკდესი).

# ხელშეკრულება

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა,

რომლებსაც ამოძრავებთ სურვილი განავითარონ მჭიდრო თანამშრომლობა და შემდგომ განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე,

ითვალისწინებენ რა ახალ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა პარიზის 1954 წლის შეთანხმებათა ძალაში შესვლასთან დაკავშირებით,

დარწმუნებულებმა იმაში, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებათა გაერთიანება საერთაშორისო მშვიდობისა და ევროპაში უშიშროების დაცვისა და განმტკიცებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, აგრეთვე გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს, ერთიანობის აღდგენისა და გერმანიასთან მშვიდობიანი სახელშეკრულებო მოწესრიგების მიზნით, შეესაბამება საბჭოთა და გერმანელი ხალხების ინტერესებს, ისევე როგორც ევროპის სხვა ხალხების ინტერესებს,

იღებენ რა მხედველობაში ვალდებულებებს, რომლებიც აქვთ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას არსებული საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებიც მთლიანად გერმანიას შეეხება, —

გადაწყვიტეს დადონ ეს ხელშეკრულება და თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი,

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი,

რომლებიც თავიანთი რწმუნებების გაცვლის შემდეგ, რაც ჯეროვან ფორმაში და სრულ წესრიგზე აღმოჩნდა, შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1.

ხელშეკრულების დამდები მხარეები საქვეყნოდ ადასტურებენ, რომ მათი ურთიერთობა ემყარება სრულ თანასწორუფლებიანობას, სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემას და საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.

ამის შესაბამისად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალია თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების, მათ შორის გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარების გადაჭრაში.

### მუხლი 2.

ხელშეკრულების დამდები მხარეები აცხადებენ, რომ მზად არიან გულწრფელი თანამშრომლობის სულისკვეთებით მონაწილეობა მიიღონ ყველა საერთაშორისო მოქმედებაში, რომლის მიზანი იქნება ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა და რომელიც შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს.

ამ მიზნით მათ კონსულტაცია ექნებათ ერთმანეთთან ყველა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე, რომლებიც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს ეხება და მიიღებენ ყველა ხელმისაწვდომ ღონისძიებას იმ მიზნით, რომ არ დაუშვან მშვიდობის დარღვევა.

### მუხლი 3.

ორივე ქვეყნის ინტერესების შესაბამისად და მეგობრობის პრინციპების დაცვით, ხელშეკრულების დამდები მხარეები თანახმანი არიან განავითარონ და განამტკიცონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებული ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული კავშირი, გაუწიონ ერთმანეთს ყოველგვარი შესაძლო ეკონომიური დახმარება და განახორციელონ საჭირო ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა.

### მუხლი 4.

არსებული საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამჟამად მყოფი საბჭოთა ჯარები დროებით დარჩებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისი მთავრობის თანხმობით იმ პირობებით, რომლებიც განისაზღვრება დამატებითი შეთანხმებით საბჭოთა კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფი საბჭოთა ჯარები არ ჩაერევიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

### მუხლი 5.

ხელშეკრულების დამდები მხარეები თანახმანი არიან, რომ მათი ძირითადი მიზანია სათანადო მოლაპარაკების გზით მთელი გერმანიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევა. ამის შესაბამისად ისინი მიიღებენ საჭირო ღონისძიებებს მშვიდობიანი სახელშეკრულებო მოწესრიგებისათვის და მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის.

### მუხლი 6.

ხელშეკრულებას ძალა ექნება გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს, ერთიანობის აღდგენამდე ან სანამ ხელშეკრულების დამდები მხარეები არ შეთანხმდებიან ამ ხელშეკრულების შეცვლისა ან მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

### მუხლი 7.

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან, რაც მოხდება ბერლინში უახლოეს დროში.

შედგენილია ქ. მოსკოვში 1955 წლის 20 სექტემბერს ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და გერმანულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით
ნ. ბულგანინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებით
ოტო გროტევოლი.

ქ. მოსკოვი, 1955 წლის 20 სექტემბერი.

## ამხანაგ ლოთარ ბოლცს,

### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

პატივცემულო ამხანაგო მინისტრო,

საბჭოთა კავშირის მთავრობამ დამავალა დავადასტურო, რომ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მოხდა მოსკოვში 1955 წლის 17-20 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ახორციელებს დაცვასა და კონტროლს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებზე, სადემარკაციო ხაზზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის, დიდი ბერლინის გარე მოსავლელზე, ბერლინში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამავალ კომუნიკაციებზე გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამავალი კომუნიკაციების დაცვისა და კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყოფს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის სათანადო ხელისუფლებთან ყველა იმ საკითხის მოწესრიგებას, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ან დასავლეთი ბერლინის რკინიგზის, საავტომობილო და სანაოსნო ტრანსპორტის, მათი მოქალაქეების ან მცხოვრებლების, ისევე როგორც უცხო სახელმწიფოებისა და მათი მოქალაქეების ტრანზიტთან, გარდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების პერსონალისა და ტვირთებისა დასავლეთ ბერლინში, რაზეც ნათქვამია ქვემოთ, ამ წერილის 2 პუნქტში.

ნათქვამის შესაბამისად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო სანაოსნო გზებით ცურვაზე გემის დოკუმენტების გაცემისა და გაფორმების ფუნქციებს და სხვ. მთლიანად ახორციელებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოები.

2. გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ ბერლინში დაბინავებული გარნიზონების სამხედრო პერსონალისა და ტვირთების მოძრაობისადმი კონტროლს დროებით, სათანადო შეთანხმების მიღწევამდე, განახორციელებს გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის სარდლობა.

ამასთან დასავლეთის სამი სახელმწიფოს გარნიზონების სამხედრო პერსონალისა და ტვირთების მოძრაობა დასავლეთ ბერლინში დაშვებული იქნება არსებული ოთხმხრივი გადაწყვეტილებების საფუძველზე:

ა) ბერლინ — მარიენბორნის ავტოსტრადით;

ბ) ბერლინ — ჰელმშტედტის რკინიგზით ცარიელი ვაგონების ბერლინ — ებისფელდეს რკინიგზაზე დატოვებით;

გ) საჰაერო კორიდორებით: ბერლინი — ჰამბურგი, ბერლინი — ბუკებურგი, ბერლინი — მაინის ფრანკფურტი.

ვ. ზორინი.

ქ. მოსკოვი, 1955 წლის 20 სექტემბერი.

## ამხანაგ ვ. ა. ზორინს,

### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს

პატივცემულო ამხანაგო მინისტრის მოადგილევ,

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამავალა დავადასტურო, რომ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მოხდა მოსკოვში 1955 წლის 17-20 სექტემბერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და საბჭოთა კავშირის მთავრობას შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ახორციელებს დაცვასა და კონტროლს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებზე, სადემარკაციო ხაზზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის, დიდი ბერლინის გარე მოსავლელზე, ბერლინში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამავალ კომუნიკაციებზე გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამავალი კომუნიკაციების დაცვისა და კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყოფს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის სათანადო ხელისუფლებთან ყველა იმ საკითხის მოწესრიგებას, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ან დასავლეთი ბერლინის რკინიგზის, საავტომობილო და სანაოსნო ტრანსპორტის, მათი მოქალაქეების ან მცხოვრებლების, ისევე როგორც უცხო სახელმწიფოებისა და მათი მოქალაქეების ტრანზიტთან, გარდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების პერსონალისა და ტვირთებისა დასავლეთ ბერლინში, რაზეც ნათქვამია ქვემოთ, ამ წერილის 2 პუნქტში.

ნათქვამის შესაბამისად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო სანაოსნო გზებით ცურვაზე გემის დოკუმენტების გაცემისა და გაფორმების ფუნქციებს და სხვ. მთლიანად ახორციელებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოები.

2. გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ ბერლინში დაბინავებული გარნიზონების სამხედრო პერსონალისა და ტვირთების მოძრაობისადმი კონტროლს დროებით, სათანადო შეთანხმების მიღწევამდე, განახორციელებს გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის სარდლობა.

ამასთან დასავლეთის სამი სახელმწიფოს გარნიზონების სამხედრო პერსონალისა და ტვირთების მოძრაობა დასავლეთ ბერლინში დაშვებული იქნება არსებული ოთხმხრივი გადაწყვეტილებების საფუძველზე:

ა) ბერლინ — მარიენბორნის ავტოსტრადით;

ბ) ბერლინ — ჰელმშტედტის რკინიგზით ცარიელი ვაგონების ბერლინ — ებისფელდეს რკინიგზაზე დატოვებით;

გ) საჰაერო კორიდორებით: ბერლინი — ჰამბურგი, ბერლინი — ბუკებურგი, ბერლინი — მაინის ფრანკფურტი.

ლ. ბოლცი.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა გააუქმოს გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობა.

სსრ კავშირის ელჩს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაეკისრა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან იმ საკითხებზე სათანადო კავშირის დამყარების ფუნქციები, რომლებიც ეხება მთლიანად გერმანიას და გამომდინარეობს ოთხი სახელმწიფოს გადაწყვეტილებებიდან.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების მთავარსარდლებთან სათანადო კავშირის დამყარება დაეტოვა გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალს.

იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულია გერმანიაში საკონტროლო საბჭოს დადგენილებანი მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გარდაქმნის შესახებ, და იღებს რა მხედველობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებულ კანონმდებლობას, რომელიც ზედმეტს ხდის, რომ ძალაში დარჩეს აღნიშნული დადგენილებანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ გერმანიაში საკონტროლო საბჭოს სათანადო კანონები, დირექტივები, ბრძანებები და სხვა დადგენილებები, რომლებიც მან გამოსცა 1945-1948 წლებში ოთხი სახელმწიფოს მიერ გერმანიის ოკუპაციის უფლებათა განხორციელების წესით, წყვეტენ თავიანთ მოქმედებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკონტროლო საბჭოს აღნიშნულ დადგენილებათა მოქმედების შეწყვეტა არ ეხება საბჭოთა კავშირის უფლებებსა და ვალდებულებებს მთლიანად გერმანიის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობენ ოთხი სახელმწიფოს შესაბამისი გადაწყვეტილებებიდან.

# ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი

20 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შივასანკარ მენონი. (საკდესი).

# ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში გულამ იახია თარზი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 20 სექტემბერს მიიღო ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში გულამ იახია თარზი. (საკდესი).

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

## ვალტერ ულბრიხტის გამოსვლა

ამხანაგო თავმჯდომარევ, ძვირფასო მეგობრებო!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ბულგანინმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ამხანაგმა გროტევოლმა ერთმანეთთან სრული თანხმობით დაგვიხატეს მოცემული სახელშეკრულებო პროექტების ისტორიული მნიშვნელობა. სახელშეკრულებო კომპლექსი, რომელსაც განვიხილავთ, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატას, მინისტრთა საბჭოსა და ყველა მოქალაქეს. ხელშეკრულების I მუხლში ნათქვამია, რომ **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალია** თავის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, დასავლეთ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის ჩათვლით. ამის საპირისპიროდ ბონის მთავრობამ დასავლეთის სახელმწიფოებთან დადო ხელშეკრულებანი, რომლებიც ზღუდავენ დასავლეთ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის უფლებებს და 50 წლით უზრუნველყოფენ დასავლეთის მაოკუპირებელ სახელმწიფოთა უფლებას განალაგონ თავიანთი ჯარები და ჩაერიონ დასავლეთ გერმანიის საშინაო საქმეებში.

ჩვენი სახელმწიფოების ხელშეკრულება გამოხატავს ახალ ურთიერთობას დემოკრატიული და სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა შორის. პირველი მოვალეობა, რომელიც გამომდინარეობს უფლებიდან თავისუფლად, თვითონ გადავწყვიტოთ გერმანიის საქმენი, — ეს არის კეთილშობილური მოვალეობა ხელი შევუწყოთ მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან გულწრფელი, მეგობრული თანამშრომლობით.

გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავიდანვე თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა — გზა გადაუჭრას გერმანიის მილიტარიზმს და გადააქციოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ერთადერთი ნამდვილად სუვერენული გერმანიის სახელმწიფო, მშვიდობისა და დემოკრატიის ციხესიმაგრედ. დასავლეთ გერმანიის შეყვანამ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში და რემილიტარიზაციამ გერმანიაში შექმნა დაბრკოლება, რომელმაც ხელი შეუშალა გერმანიის გაერთიანებას. დასავლეთ გერმანიაში გამეფებულმა მონოპოლისტთა, ბანკირთა და მემამულეთა კლასმა, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ძალაუფლება, გამოიწვია გერმანიის გათიშვა და დასავლეთი გერმანია დაუმორჩილა უცხოეთის ფინანსური კაპიტალის ინტერესებს. მშვიდობისმოყვარე გერმანელი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება დასავლეთ გერმანიის შეყვანას ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტში, რადგან ეს საფრთხეს უქმნის ხალხის მშვიდობიან ცხოვრებას და იწვევს გერმანიის დანაწილებას. ბონის მთავრობამ, მიანიჭა რა უპირატესობა რემილიტარიზაციას გაერთიანების წინაშე და ხელს უშლის რა ხალხს თავისუფლად გადაწყვიტოს რეფერენდუმის გზით მშვიდობიანი ხელშეკრულება და გაერთიანება თუ პარიზის შეთანხმებანი და რემილიტარიზაცია, — დაამტკიცა თავისი განზრახვა კვლავ იაროს ძველი გზით, რომელმაც უკვე ორჯერ მიიყვანა გერმანია კატასტროფამდე. დასავლეთ გერმანიის სულ უფრო ფართო წრეებმა შეიგნეს, რომ პარიზის შეთანხმებათა დადება საბედისწერო შეცდომა იყო, რადგან ეს შეთანხმებები შეუთავსებელია გერმანიის გაერთიანებასთან.

ხელშეკრულება, რომელიც ახლა იდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის, ეხმარება მშვიდობისმოყვარე გერმანელებს განამტკიცონ მშვიდობა და საშუალებას აძლევს მათ შეიგნონ, რომ მთელი გერმანია არასოდეს არ დაემორჩილება ნატო-სა და დასავლეთგერმანელი მილიტარისტების დიქტატურას.

ახლანდელი სახელშეკრულებო კომპლექსი შედეგია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებისა თავისუფლად, თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო და საგარეო საქმეები. ამის გამო მე მინდა ვთქვა, რომ ნამდვილი თავისუფლება არსებობს მხოლოდ იქ, სადაც არის თავისუფლების მტკიცე საფუძველი — მუშათა კლასის ბატონობა მშრომელ გლეხობასა და ინტელიგენციასთან კავშირით. მაშინ როცა დასავლეთ გერმანიაში მაოკუპირებელი სახელმწიფოების დახმარებით აღდგენილ იქნა კაპიტალისტური მონოპოლიების ხელისუფლება, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მშრომელებმა განახორციელეს პოტსდამის კონფერენციისა და ოთხი სახელმწიფოს საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებანი გერმანიის მილიტარიზმის აღმოფხვრის, მიწის რეფორმის განხორციელებისა და მონოპოლიების ლიკვიდაციის შესახებ. ჩვენთვის გასაგებია, რომ ამან ძალიან გააავფთრა მონოპოლისტური კაპიტალისა და მემამულეთა გარკვეული წრეები დასავლეთ გერმანიაში და ამიტომ ისინი ილაშქრებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს ოდნავაც არა ცვლის რეალურ ფაქტს — მუშურ-გლეხური ხელისუფლების ზრდისა და წარმატებათა ფაქტს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა, რა თქმა უნდა, მიესალმება იმას, რომ ახლა, როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრების გარდაქმნა მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე განუხრელად მიდის წინ, საკონტროლო საბჭოს კანონები, დირექტივები და ბრძანებანი კარგავენ თავიანთ ძალას, და სახალხო კანონმდებლობა მთლიანად ხორციელდება.

მას შემდეგ, რაც დასავლეთი გერმანია, მოსახლეობის უმრავლესობის ნების წინააღმდეგ, გაბატონებულმა წრეებმა მიაჯაჭვეს ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტს და ბონში ნაჩქარევად მიიღეს სამხედრო კანონები, გერმანიის გაერთიანების საკითხში შეიქმნა მძიმე, რთული მდგომარეობა. ჩვენს სახელშეკრულებო კომპლექსში, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ღონისძიებათა გაერთიანება ევროპაში საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში თანამშრომლობისათვის, ისევე როგორც ერთიანი გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენისათვის და გერმანიასთან მშვიდობიანი სახელშეკრულებო მოწესრიგებისათვის შეესაბამება გერმანელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ინტერესებს და თანაბრად ევროპის დანარჩენი ხალხების ინტერესებს. გერმანელი ხალხი მადლობას უძღვნის სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს და პირადად ამხანაგებს ბულგანინსა და ხრუშჩოვს მათი ინიციატივისათვის საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელებაში. ეს მოგვცემს შესაძლებლობას შევანელოთ დაძაბულობა გერმანიაშიც. ჩვენ გულწრფელად მივესალმებით შეთანხმებას გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და სსრ კავშირის მთავრობას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რადგან ესეც ემსახურება დაძაბულობის შენელებას და შეუძლია ხელი შეუწყოს გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებას. სავსებით ცხადია, რომ მთავარი საფრთხე ევროპის ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის არის გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება. არავის არ შეუძლია მოელოდეს, რომ ჩვენ გერმანელ რევანშისტებს მივცემთ შესაძლებლობას გააფართოონ თავიანთი პოზიციები 1933 წლის ჰიტლერული არჩევნების მაგალითისამებრ და წამოსწიონ თავიანთი სამხედრო ბაზა ოდერამდე, რათა შემდეგ შეძლონ ომის პროვოკაციულად გამოწვევა.

მაშასადამე, არსებობს მხოლოდ ერთი გზა ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფისა და გერმანიის გაერთიანებისათვის, — ეს არის ევროპაში მილიტარისტულ დაჯგუფებათა გადალახვა ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების დახმარებით. პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა მოითხოვა, რომ ამავე დროს დაახლოვდეს გერმანიის ორივე ნაწილი. გერმანიის ორივე ნაწილის მუშების, მშრომელი გლეხობის, პროფკავშირების, სპორტსმენებისა და კულტურის მოღვაწეთა თანამშრომლობა უკვე იძლევა სასიხარულო წარმატებას. ორივე გერმანული სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ-უფლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარეობს ორივე სახელმწიფოს ურთიერთცნობისა და ორივე მთავრობას შორის უშუალოდ სხვადასხვა საკითხის მოწესრიგების აუცილებლობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ორგანოები განაგებენ სასაზღვრო დაცვას და კონტროლს უწევენ დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინს შორის მიმოსვლის გზებს, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ, არ არსებობს სადავო საკითხების გადაჭრის არავითარი სხვა გზა, გარდა ერთსა და მეორე მთავრობას შორის ოფიციალური მოლაპარაკებისა. რაც უნდა ძნელი იყოს ხელმძღვანელი პოლიტიკური წრეებისათვის ბონსა და დასავლეთ ბერლინში, მათ მეტი არა დარჩენიათ რა, აღიარონ, რომ განზრახვა — ძირი გამოუთხარონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ცივი ომის დახმარებით, განწირულია ჩაშლისათვის. რაც უფრო მალე აღიარებენ ისინი ამას, მით უკეთესი იქნება დასავლეთ ბერლინის მოსახლეობისათვის.

დაე დასავლეთ გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ რეალურად შეაფასოს მდგომარეობა და შეიგნოს, რომ მას შეუძლია თავისი უფლებანი განახორციელოს მხოლოდ დასავლეთ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მის განცხადებას გერმანიის საზღვრების შესახებ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც არსებობენ საერთაშორისო ხელშეკრულებანი, რომლებიც თავიანთ ძალას ინარჩუნებენ.

ჩვენ იმის თანახმა ვართ, რომ საბჭოთა ჯარები დარჩნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მშვიდობის ვახტზე. მანამდე, სანამ დასავლეთის სახელმწიფოებს არ განუზრახავთ თავიანთი ჯარები გაიყვანონ დასავლეთ გერმანიიდან და მოსპონ თავიანთი სამხედრო ბაზები, საბჭოთა ჯარების ყოფნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჭიროა. ეს სრულიადაც არ ამცირებს მუშურ-გლეხური ხელისუფლების საკუთარ მოვალეობას ქმედითად დაიცვას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მშრომელთა სამშობლო, თავისი საკუთარი შეიარაღებული ძალებით. ბონში სამხედრო კანონების მიღებისა და აგრესიული შეიარაღებული ძალების შექმნის დაწყების შემდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა განუხრელად განახორციელებს თავის მოვალეობასა და უფლებებს, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ.

ახალი სახელშეკრულებო კომპლექსი, რომელიც გამოხატავს ახალი პერიოდის დასაწყისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებაში, ემყარება გერმანელი ხალხისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა მტკიცე, ურღვევ მეგობრობას. იგი ქმნის სახელმწიფოებრივ-უფლებრივ ურთიერთობას თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე, ურთიერთობას, რომელიც ხელს უწყობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას. სახელშეკრულებო კომპლექსი ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოების ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. ამავე დროს იგი ხელს შეუწყობს დემოკრატიული და სოციალისტური სახელმწიფოების ბანაკის განმტკიცებას.

ჩვენ გვსურს მთელ გერმანელ ხალხსა და საბჭოთა კავშირს შორის მტკიცე, მეგობრული ურთიერთობის განვითარება. ჩვენი საერთო ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ მშვიდობიან მოწესრიგებას მთელი გერმანიისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას თავისი თავი მიაჩნია პასუხისმგებლად მთელი გერმანელი ხალხის მშვიდობიანი და დემოკრატიული ინტერესების დაცვისათვის, რათა განხორციელდეს მისი უპირველესი სურვილი — გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, ინტელიგენცია და ყველა დანარჩენი მშვიდობისმოყვარე გერმანელი გაკვეთილს გამოიტანენ ორი მსოფლიო ომის კატასტროფიდან და გაბედულად დაადგებიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის ბრძოლის გზას. ეს სახელშეკრულებო კომპლექსი ხელს შეუწყობს მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ამით იგი სამსახურს გაუწევს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიდ და სამართლიან საქმეს.

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო! სულითა და გულით გმადლობთ იმისათვის, რომ მეგობრულად ითანამშრომლეთ ახალ სახელშეკრულებო კომპლექსზე მუშაობაში, რომელიც თანაბრად ემსახურება ჩვენი ორივე ხალხის ინტერესებს.

## ოტო ნუშკეს გამოსვლა

ბ-ნო თავმჯდომარევ!

ბ-ნო სსრ კავშირის პრემიერ-მინისტრო!

ჩვენ განსაკუთრებით მადლობელი ვართ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისა იმისათვის, რომ მათ შესაძლებლობა მოგვცეს შეგვექმნა სამშვიდობო დოკუმენტების კომპლექსი. არა მარტო თანამედროვე პოლიტიკოსები, არამედ მომავალი ისტორიკოსებიც ამ ხელშეკრულებას შეადარებენ ეგრეთწოდებულ გერმანიის ხელშეკრულებას, რომელიც პარიზის შეთანხმებათა განუყრელი შემადგენელი ნაწილია. ჩვენ გვაქვს ისეთი ხელშეკრულება, რომელშიც იურიდიულად მყარდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა. აქ არის ნამდვილი სუვერენიტეტის მინიჭება, ჩვენთვის მონიჭებული სუვერენიტეტის სახელშეკრულებო გარანტია, ბონში კი — მოჩვენებითი სუვერენიტეტი.

გერმანიის ხელშეკრულება ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ აწესებს, რომ ბონმა მოლაპარაკების უფლება გერმანიის გაერთიანების შესახებ დაუთმო ხელშეკრულების თავის დასავლეთელ პარტნიორებს. ამიტომ ლოგიკური არ არის, როცა ბ-ნი დოქტორი ადენაუერი აქ გამოვიდა იმის პრეტენზიით, რომ დაიწყოს მოლაპარაკება გაერთიანების შესახებ. ნამდვილად რომ ვთქვათ, მან ამით დაარღვია თავისი საკუთარი, დასავლეთის სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულება. მაგრამ ჩვენ არა გვსურს ამაზე მასთან დავა. ჩვენთვის საკმაოა, რომ შეგვიძლია კმაყოფილებით დავადასტუროთ, რომ აქ მუშავდება ხელშეკრულება, რომელიც ბონის ხელშეკრულებისაგან ისე განსხვავდება, როგორც დღე ღამისაგან. ჩვენ თავისუფალი ვართ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების, მათ შორის გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარების საკითხის გადაჭრაში. ის, რომ ჩვენ კონსულტაციას ვუწევთ ერთმანეთს საკითხებზე, რომლებიც ჩვენს ურთიერთ ინტერესებს შეეხება, არის ჩვენს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის გამოხატულება, რასაც აქ სამართლიანად ძმურიც კი უწოდეს.

მაგრამ ამ კონსულტაციებში ჩვენს წინაშე დასახულია ხელშეკრულებით დასმული სრულიად გარკვეული მიზანი, სახელდობრ მაღალი მიზანი — არ დავუშვათ მშვიდობის დარღვევა. ამით ამ ხელშეკრულების მშვიდობიან ხასიათს ადასტურებენ კონსულტაციებიც. თუ მე-4 მუხლი აწესებს, რომ საბჭოთა ჯარები დროებით რჩებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამავე დროს წესდება, რომ მათ არ შეუძლიათ ჩაერიონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მხრივ რას აწესებს დასავლეთის სახელმწიფოებთან ადენაუერის მიერ დადებული ეგრეთწოდებული გერმანიის ხელშეკრულება? დასავლეთის სახელმწიფოები აკეთებენ შენიშვნას, რომ ისინი ყოველ დროს, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევენ, კვლავ აიღებენ თავიანთ ხელში პოლიტიკურ და სახელმწიფო ძალაუფლებას. და ისინი ამ უფლებას მოითხოვენ თვითეული თავიანთი სამხედრო კომენდანტისათვის. მე-6 მუხლი აწესებს საბჭოთა ჯარების განლაგების დროებითს ხასიათს. ეს დროებითი ხასიათი მკვეთრად განსხვავდება პარიზის შეთანხმებათა სათანადო დებულებებისაგან, რომლებსაც ძალა უნდა ექნეთ 50 წლის განმავლობაში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ, როცა ეს ხელშეკრულება გამოქვეყნდება, დასავლეთ გერმანიაში გაიგებენ უდიდეს განსხვავებას ნამდვილ სუვერენიტეტსა და ბონის მოჩვენებითს სუვერენიტეტს შორის. განსაკუთრებით ამას გაიგებს ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქრისტიანი მოსახლეობა, აგრეთვე ბონის რესპუბლიკის ქრისტიანი მოსახლეობა. იგი გაიგებს ამ ხელშეკრულების ნამდვილ ეთიკურ და ქრისტიანულ მნიშვნელობას.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში გაიგებენ, რომ აქ ახლა მართლაც შეიქმნა სამშვიდობო დოკუმენტების კომპლექსი. და, უფრო მეტიც, ეს არის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გერმანიის ერთიანობის აღსადგენად. საქმე ეხება მთელი გერმანიის ნამდვილ მშვიდობიან აღდგენას, და ჩვენ განსაკუთრებით მადლობელი ვართ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებისა იმისათვის, რომ გერმანელ ხალხს ახლა აჩუქეს ნამდვილი სამშვიდობო დოკუმენტების კომპლექსი.

## ბერტოლდ როზეს გამოსვლა

დიდად პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარევ!

ძვირფასო მეგობრებო!

უდიდეს სიხარულს მაგრძნობინებს ის, რომ მე, როგორც გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიისა და მშრომელი გლეხობის წარმომადგენელი, მონაწილეობას ვიღებ ამ მოლაპარაკებაში, რომელსაც ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გერმანელი ხალხისათვის.

სულ რამდენიმე დღის წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელმა გლეხებმა იდღესასწაულეს მიწის დემოკრატიული რეფორმის 10 წლისთავი. ჩვენ განვახორციელეთ ჩვენში პოტსდამის გადაწყვეტილებანი, ძალაუფლება ჩამოვართვით იუნკრებს და ამით მთლიანად ამოვგლიჯეთ მილიტარიზმის ერთ-ერთი ფესვი. ჩვენმა გლეხებმა დასკვნები გააკეთეს წარსულიდან და აღფრთოვანებული არიან დიდი მისწრაფებით მშვიდობისადმი.

მშვიდობა ნიშნავს ნაყოფიერ ყანებს, აყვავებულ მინდვრებსა და უხვ მოსავალს. ჩვენ გვსურს მშვიდობა და მეგობრობა დედამიწის ყველა ხალხთან და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ხალხებთან. ეს უნდა იყოს მეგობრობა ისეთივე ძმური თანამშრომლობის სულისკვეთებით, როგორიც გამეფებულია ჩვენს მოლაპარაკებაში. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გლეხები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთელი ენერგიით დაუჭერენ მხარს აქ მიღწეულ შეთანხმებებს.

მაგრამ ჩვენში დიდ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ჩვენი სამშობლოს დასავლეთში კვლავ მოქმედებენ ძალები, რომლებიც მილიტარიზმს ქმნიან. სათვისტომოები ეწევიან შოვინისტურ პროპაგანდას. კვლავ არსებობს „ფოლადის მუზარადი“. ჩვენ, მშრომელმა გლეხებმა, ვიცით, რომ როცა არსებობენ „ფოლადის მუზარადი“ და ჯარისკაცთა სხვა გაერთიანებანი, მაშინ მშვიდობა, მაშინ ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფო საფრთხეშია.

დიდად პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარევ, თქვენ სავსებით სამართლიანად აღნიშნეთ თქვენს სიტყვაში, რომ გერმანიის ტერიტორიაზე განვითარდა სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ორი სახელმწიფო. საუკუნეობრივი ბრძოლის შემდეგ, რაც დაკავშირებული იყო დიდ მსხვერპლთან, მშრომელი გლეხობა განთავისუფლდა იუნკრებისა და მონოპოლისტების მხრივ ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან.

მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირით და მისი ხელმძღვანელობით მშრომელმა გლეხებმა აიშენეს ახალი ცხოვრება, გახდნენ თავისუფალი გლეხები საკუთარ მიწა-წყალზე. დიახ, შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრებას მათთვის პირველად მიეცა აზრი. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენი სამშობლოს ერთ ნაწილში. დასავლეთ გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო მუშები და მშრომელი გლეხები მოტყუებული დარჩნენ თავიანთ იმედებში მიწის დემოკრატიულ რეფორმაზე. ისინი უფრო ხმამაღლა, ვიდრე ოდესმე, მოითხოვენ: „იუნკრების მიწა — გლეხებს!“ მიწა ეკუთვნით იმათ, ვინც მას ამუშავებს. ეს ისტორიული, სოციალური და ეროვნული საჭიროებაა მთელი გერმანიისათვის.

ამიტომ გასაგებია, რომ მიწის დემოკრატიული რეფორმის მე-10 წლისთავზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელმა გლეხებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ ჩვენ არასოდეს არ ვიტყვით უარს ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მონაპოვარზე. აღარასოდეს კვლავ აღარ იბატონებენ იუნკრები იქ, სადაც დღეს თავისუფალი გლეხები ცხოვრობენ. ჩვენმა მშრომელმა გლეხებმა ახლა გაიგეს, რომ საკმარისი არ არის გვიყვარდეს მშვიდობა, რომ იგი აგრეთვე უნდა დავიცვათ. ჩვენ პოლიტიკურად და ეკონომიურად განვამტკიცებთ ჩვენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს როგორც ხანგრძლივი მშვიდობისა და ერთიანი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიისათვის ჩვენი ბრძოლის საფუძველს.

დღეს ჩვენს მინდვრებში მუშაობენ საბჭოთა კომბაინები. ჩვენი შრომა უფრო ადვილი გახდა. საბჭოთა ნოვატორული მეთოდების გამოყენება ბევრი გლეხისათვის მათი კეთილდღეობის წყარო გახდა.

კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში, რასაც ჩვენი საერთო შეთანხმებანი ითვალისწინებენ, ახალ ფართო პერსპექტივებს უსახავს ჩვენს მშრომელ გლეხობას და ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებს.

მშვიდობის განმტკიცებისათვის, ევროპის ხალხთა უშიშროებისა და გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ჩვენს ბრძოლაში დიდ დახმარებას გაგვიწევს ხელშეკრულება, რომელსაც დღეს განვიხილავთ. ჩვენი დღევანდელი მოლაპარაკება უფრო ნათლად, ვიდრე ოდესმე, გვიჩვენებს, რომ გერმანელ ხალხს საიმედო და ძლიერი მეგობრები ჰყავს.

ჩვენი ორივე ხალხის ურღვევი მეგობრობა, საბჭოთა კავშირის დიდი მაგალითი, მუშათა კლასთან მტკიცე კავშირი ჩვენ, მშრომელ გლეხებს, გვაძლევს ძალას საპატიო ადგილი დავიკავოთ გერმანელი ხალხის სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში.

## ლოთარ ბოლცის გამოსვლა

დიდად პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარევ!

მე მსურს ჩემი მოკლე გამოსვლა დავიწყო მადლობის სიტყვებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დელეგაციისადმი. მე მადლობას გამოვთქვამ როგორც მოლაპარაკების საგნისათვის, ისე მისი მსვლელობისათვის.

ეს ხელშეკრულება 1-ლ მუხლში ადასტურებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალია როგორც თავისი საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაჭრაში. ჩვენი ურთიერთობის ეს ორმხრივი სახელშეკრულებო სახელმწიფოებრივ-უფლებრივი მოწესრიგება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ 1954 წლის 26 მარტის განცხადების თანმიმდევრული განგრძობაა. ჩვენთვის სრული თავისუფლება საგარეო პოლიტიკის დარგში უდრის ჩვენი საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულ განგრძობას, რომლის ფუნდამენტია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან გულწრფელი და გულითადი მეგობრობა. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით მივესალმებით შესაძლებლობას ხელშეკრულების გზით განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა და შევქმნათ მისი შემდგომი განვითარების წანამძღვრები.

ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან იმას ემყარება, რომ საბჭოთა კავშირმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო და გერმანელი ხალხი გაათავისუფლა ჰიტლერული ტირანიის უღლისაგან. ჩვენი ურთიერთობა ემყარება მიზნების ერთიანობას, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მილიტარიზმისა და ფაშიზმის აღმოფხვრის შედეგად, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ სახელმწიფო ძალაუფლება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ემყარება მუშებისა და მშრომელი გლეხობის კავშირს, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ მიწის რეფორმის, მრეწველობაში რეფორმის, სახალხო მრეწველობის შექმნის, ადმინისტრაციული რეფორმისა და სხვა რეფორმების შედეგად. ამიტომ ჩვენს შორის არსებობს სრული ერთიანობა საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო ვითარების ამოცანების შეფასებაში. ეს არის: საჭიროება საერთაშორისო საკითხები გადაიჭრას მოლაპარაკების გზით ერთობლივ შეთანხმებათა მისაღწევად, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და თანამშრომლობა. ამასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას, რაც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში, და ორივე გერმანული სახელმწიფოს თანამშრომლობას ამ პასუხსაგები ამოცანის გადაჭრაში.

ამით ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გამოხატავს ჩვენი ინტერესების ერთიანობას, ღრმა გულწრფელ მეგობრობას, ურთიერთნდობასა და სოლიდარობას.

ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა რეალობაა. არსებობს ორი სხვადასხვა გერმანული სახელმწიფო, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება და, ამრიგად, აგრეთვე ორი სხვადასხვა საგარეო პოლიტიკა. მე აქ არა მსურს ვილაპარაკო ფედერალური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაზე. მე გულწრფელად მივესალმები სსრ კავშირისა და ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციას როგორც დაძაბულობის შენელების საბჭოთა პოლიტიკის დიდ წარმატებას.

რაც შეეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას, მე მსურს მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო: ჩვენ გადაჭრით ვეწინააღმდეგებით ძალისა და ცივი ომის პოლიტიკას, გადაჭრით ვეწინააღმდეგებით მომხდარი ფაქტების პოლიტიკას, მოლაპარაკებისათვის წინასწარი პირობების წამოყენების პოლიტიკას, მუქარისა და ძალის გამოყენების პოლიტიკას. ჩვენ გადაჭრით ვეწინააღმდეგებით სხვა ხალხთა საშინაო საქმეებში ჩარევის პოლიტიკას. ჩვენ ვეწინააღმდეგებით პოლიტიკას, რომელიც ანგარიშს არ უწევს ფაქტებს და ხელმძღვანელობს ილუზიებით და რომელსაც იმ შემთხვევებში, როცა ილუზიები არ შეესაბამებიან ფაქტებს, მიაჩნია, რომ მით უარესია ფაქტებისათვის.

ჩვენ ვეწინააღმდეგებით გერმანიის იმპერიალიზმის ძველ პოლიტიკას, რომელიც სხვათა შორის გამოიხატებოდა აგრეთვე იმით, რომ მუდამ ესწრაფვოდა კავშირს ყველაზე რეაქციულ ძალებთან მსოფლიოში, ძალებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ მხოლოდ წარსულს და არა მომავალს. ამის მაგალითი იყო გერმანიის იმპერიალიზმის კავშირთა სისტემა პირველ მსოფლიო ომში, აგრეთვე მეორე მსოფლიო ომის დროს; აღორძინების გზაზე მდგომი გერმანიის მილიტარიზმი დასავლეთ გერმანიაში იმავე მეთოდებს მიმართავს.

მართლაც, ორივე გერმანული სახელმწიფო ორი სხვადასხვა საგარეო პოლიტიკის მაგალითია. ჩვენი ურთიერთობა ჩვენს ორ უახლოეს მეზობელთან — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასთან, რომელთანაც ვარშავაში, პირველად ჩვენი ორივე ხალხის მთელ ისტორიაში, დავდეთ კავშირი, და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რომელთანაც საზღვრით ოდერ-ნაისეზე ჩვენ, პირველად ჩვენი ორი ხალხის მთელ ისტორიაში, შევქმენით მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეუხებელი საზღვარი — წარმოადგენს მტკიცე მეგობრობასა და კეთილ მეზობლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის მაგალითს, ურთიერთობისა, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობასა და უშიშროებას, ურთიერთობისა, რომელიც ემყარება სრულ ურთიერთნდობას. მეორე მხრივ, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, დანია შეშფოთებით და შიშით შეჰყურებენ კავშირში თავიანთ პარტნიორს, რომლის აღორძინების

(დასასრული მე-3 გვერდზე).

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

## ლოთარ ბოლცის გამოსვლის დასასრული

გზაზე მდგომი მილიტარიზმი მიმართულია უწინარეს ყოვლისა თვით მათ წინააღმდეგ.

ამით ევროპაში ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობამ დააყენა საკითხი, რომელიც ხალხებს არ მისცემს საშუალებას მშვიდად იგრძნონ თავი მანამდე, სანამ — როგორც ეს შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სურვილს — არ შეიქმნება ევროპის უშიშროების ქმედითი სისტემა და ამით სწორი პასუხი არ გაიცემა ამ კითხვაზე.

ჩვენი რესპუბლიკის ინტერესები, მთელი გერმანელი ხალხის ინტერესები, მისი მომავალი, მისი სარგებლობა, მისი ეროვნული ღირსება მოითხოვს, რომ ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ ეკუთვნოდეს მშვიდობის ბანაკს. ამავე დროს ჩვენ მზად ვართ აღვადგინოთ გულწრფელი ურთიერთობა ყველა სხვა ქვეყანასთან, თავისთავად იგულისხმება, იმ პირობით, რომ აღიარებულ იქნება თანასწორუფლებიანობა, სუვერენიტეტი, ტერიტორიული ხელშეუხებლობა, ჩაურევლობა და ურთიერთსარგებლობისადმი მისწრაფება.

მე ჩემი სიტყვა დავიწყე მადლობის გამოთქმით. მსურს დავამთავრო იგი იმით, რომ გავიმეორო ჩემი მადლობა.

## ერიხ კორენსის გამოსვლა

დიდად პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარევ!

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი დელეგაცია აქ იმისათვის ჩამოვიდა, რომ ხელშეკრულების დახმარებით გააფართოოს და უფრო განამტკიცოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის უკვე არსებული მეგობრული ურთიერთობა.

ჟენევაში ამა წლის ივლისში ისტორიული თათბირის შემდეგ და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირის წარმატებითი მოლაპარაკების შემდეგ დადგა დაძაბულობის შენელება ხალხთა ურთიერთობაში, და ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. ამიტომ ჩვენთვის, გერმანელებისათვის, შეიქმნა ახალი მდგომარეობა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანების შესაძლებლობათა თვალსაზრისით, რადგან მთელი პოლიტიკური ატმოსფეროს დაძაბულობის შენელება, მშვიდობის განმტკიცება, საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობენ აგრეთვე ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოებას.

ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამ ხელშეკრულების 1-ლ მუხლს. იქ ნათქვამია:

„ამის შესაბამისად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალია მიიღოს გადაწყვეტილებანი თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, მათ შორის გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარების საკითხებზე“.

ეს მუხლი ჩვენ, გერმანელებს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გვაკისრებს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ვალდებულებას. ლოზუნგს „გერმანელებო, ერთი მაგიდის გარშემო!“ ახლა ენიჭება მეტი და უფრო მეტი გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვიდრე ოდესმე წინათ, რადგან ჩვენ თვითონ — ყველა გერმანელმა — არსებითი წვლილი უნდა შევიტანოთ გერმანიის საკითხის გადაჭრაში.

ცხადია, რომ პარიზის შეთანხმებებმა შეუძლებელი გახადეს გერმანიის საკითხის გადაჭრა; მე მსურს გავიმეორო ის, რაც უკვე ნათლად თქვა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა: ერთიანი გერმანია, რომელსაც აქვს პარიზის შეთანხმებანი და ჰყავს ფაშისტური ვერმახტი, არ შეიძლება იყოს და არც იქნება. მაგრამ ორივე გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძვლებზე შეიძლება ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის ფარგლებში, რომელშიც შეუძლია დროებით მიიღოს მონაწილეობა გერმანიის ორივე ნაწილმა.

ჩვენ, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის — იმ მოძრაობის მონაწილეებმა, რომლის სახელითაც აქ ვლაპარაკობ, — უფრო ინტენსიურად და უკეთ უნდა ვიბრძოლოთ ამ დიდი მიზნისათვის. განსაკუთრებით ძლიერი სტიმული გახდება ჩვენს მუშაობაში აღიარების ის გულთბილი სიტყვები, რომლებიც თქვენ, ბ-ნო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, თქვენს სიტყვაში შაბათს უძღვენით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს. დარწმუნებული ვარ, რომ იმ დიდი მეგობრული დახმარების მეოხებით, რასაც ჩვენთვის უზრუნველყოფს ეს ახალი ხელშეკრულება, შევძლებთ მოვიპოვოთ წარმატება ჩვენს ღონისძიებებში.

ნება მიბოძეთ აგრეთვე როგორც მეცნიერმა და ტექნიკოსმა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ჩვენს დელეგაციას პატივი დასდეს — გუშინ შესაძლებლობა გვქონდა დაგვეთვალიერებინა მსოფლიოში პირველი ატომის ელექტროსადგური, რომელიც საბჭოთა კავშირმა ააგო. იმან, რაც ჩვენ იქ, ამ ატომის ელექტროსადგურში ვნახეთ, ყველა ჩვენგანზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვა ქვეყნებში ატომისაგან ენერგიის მიღებაც კი ვითარდება მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მიზნებით, მაგალითად, როგორც სამხედრო ხომალდების მამოძრავებელი ძალისა; აქ კი ატომისაგან მიღებულ ელექტროენერგიას პირველად იყენებენ მშვიდობიანი მიზნებით — ქარხნებში, სოფლის მეურნეობაში და ქალაქებისა და სოფლების განათებისათვის. ამ დიდებულ საწარმოში ჩვენ სავსებით დავრწმუნდით, რომ თქვენს ქვეყანაში არსებობს მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონე, და ამასთან დაკავშირებით წარმოვიდგინეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მე-3 მუხლის შინაარსს, რომელშიც ნათქვამია საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უკვე არსებული ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაზე. ჩვენთვის ამ თანამშრომლობას აღნიშნულ დარგებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის და იმედი გვაქვს, რომ აგრეთვე შევძლებთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში — თუნდაც მცირე მასშტაბით და სულ რამდენიმე დარგში.

სწორედ ისე, როგორც მთელი ხელშეკრულება ემსახურება ევროპასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეს, აგრეთვე თანამშრომლობა, რომლის მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნულია მე-3 მუხლში, შექმნის მტკიცე დასაყრდენს ჩვენი ორი სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებისათვის. ეს თანამშრომლობა ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ დარგებში წარმატებითი იქნება, იმიტომ, რომ იგი განხორციელდება მშვიდობის პირობებში და მშვიდობიანი მიზნებისათვის.

## ნ. ა. ბულგანინის გამოსვლა

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია უწინარეს ყოვლისა მადლობა გადავუხადო კომისიის წევრებს, რომლებმაც დღეს მოგვიმზადეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიც არის „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ხელშეკრულების“ პროექტი. ეს ხელშეკრულება მოასწავებს ახალ ისტორიულ ეტაპს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებაში.

საბჭოთა მთავრობა მთლიანად ეთანხმება წარმოდგენილი დოკუმენტის ტექსტს.

ჩვენ აქ დღეს უდიდესი კმაყოფილებით მოვისმინეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრების: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პრემიერ-მინისტრის მოადგილის ამხანაგ ულბრიხტის; პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და ქრისტიან დემოკრატთა კავშირის პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ ნუშკეს; გლეხთა დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივნის ამხანაგ როზეს; პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ ბოლცის; დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პროფესორ კორენსის გამოსვლები. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მათ მიერ გამოთქმულ აზრებს. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ წარმოდგენილ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ხელშეკრულების“ პროექტს. უეჭველია ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ჩვენს სახელმწიფოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, თანასწორუფლებიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებს ახალ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა პარიზის 1954 წლის შეთანხმებათა ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ხელშეკრულების მიზანია საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებათა გაერთიანება, რათა ხელი შეეწყოს საერთაშორისო მშვიდობისა და ევროპაში უშიშროების დაცვასა და განმტკიცებას. იგი ხელს შეუწყობს გერმანიის მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის საქმეს. ეს ხელშეკრულება შეესაბამება საბჭოთა და გერმანელი ხალხების ინტერესებს, ისევე როგორც ევროპის სხვა ხალხების ინტერესებს.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენი ურთიერთობა ემყარება ურთიერთ პატივისცემასა და ჩვენი სახელმწიფოების სრულ თანასწორუფლებიანობას. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, როგორც უკვე აქ ითქვა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალია თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების, მათ შორის გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის გადაჭრაში, აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობის განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ განიხილა საკითხი, რომ მიზანშეუწონელია შემდგომ იქნას დატოვებული გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობა. საბჭოთა მთავრობამ განიხილა აგრეთვე გერმანიაში საკონტროლო საბჭოს იმ კანონების, დირექტივების, ბრძანებებისა და სხვა დადგენილებების საკითხი, რომლებიც მან გამოსცა 1945-1948 წლებში, და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მინდა ვაცნობო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას, გაცნობოთ თქვენ, ამხანაგო პრემიერ-მინისტრო.

საბჭოთა მთავრობამ მიზანშეწონილად ცნო გაეუქმებინა სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობა გერმანიაში და სსრ კავშირის ელჩისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაეკისრებინა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის წარმომადგენლებთან გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში სათანადო კავშირ-ურთიერთობის შენარჩუნების ფუნქციები იმ საკითხებზე, რომლებიც მთლიანად გერმანიას ეხებიან და 4 სახელმწიფოს სათანადო გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულია გერმანიის საკონტროლო საბჭოს დადგენილებანი მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებული კანონმდებლობა, რომელიც ზედმეტს ხდის აღნიშნულ დადგენილებათა ძალაში დატოვებას, საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია დაადგინოს, რომ სათანადო კანონები, დირექტივები, ბრძანებანი და გერმანიის საკონტროლო საბჭოს სხვა დადგენილებანი, რომლებიც 1945-48 წლებში გამოიცა, წყვეტენ მოქმედებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამხანაგო პრემიერ-მინისტრო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ამხანაგო წევრებო, ჩვენი დღევანდელი სხდომა უეჭველად ისტორიულია. იგი შევა ჩვენი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში. ცნობილია, რომ ისტორიულ ამბებს ყოველთვის ერთბაშად როდი აფასებენ ღირსეულად. ზოგჯერ თანამედროვეებს ეჩვენებათ, რომ ყოველივე ეს ჩვეულებრივია, ყოველივე ეს ჩვენი მიმდინარე ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის, რაც დღეს აქ ესოდენ კარგად თქვეს თქვენი დელეგაციის წარმომადგენლებმა, და ის, რაც ჩაწერილია თქვენსა და ჩვენს სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში, სცილდება ჩვენი დღევანდელი წარმოდგენის ფარგლებს. ყოველივე, რაც ჩვენში, ჩვენი მოლაპარაკების მსვლელობაში ხდება, და დოკუმენტები, რომლებსაც ხელს მოვაწერთ, შევლენ ჩვენი ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიაში, სახელმწიფოებისა, რომლებშიც სახელმწიფო ძალაუფლება ეკუთვნით ხალხს, მუშებს, გლეხებსა და მშრომელ ინტელიგენციას, და გახდება იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა აშენონ მუშებმა, გლეხებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ — ხალხმა თავიანთი სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია უანგარო მეგობრობაზე და რომელიც ისახავს ერთადერთ მიზანს — ხალხთა კეთილდღეობას, ცხოვრების სიმშვიდეს.

ნება მიბოძეთ დასასრულ რწმენა გამოვთქვა, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენს მოლაპარაკებაში მივაღწიეთ, შეეფერება გერმანელი და საბჭოთა ხალხების ინტერესებს, ისევე როგორც ევროპის სხვა ხალხთა ინტერესებს.

## ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

მე სავსებით ვეთანხმები ყოველივე იმას, რაც ამ საკითხზე ამხ. ბულგანინმა თქვა.

მე მსურს ვილაპარაკო იმაზე, რომ ჩვენი აზრით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ პოლიტიკური პარტიების მჭიდრო თანამშრომლობას, რომლებიც გაერთიანებული არიან დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტად.

ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ ამ პარტიებისა და მათი ხელმძღვანელების ერთობლივი მოღვაწეობა დიდ როლს ასრულებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვან წარმატებათა მისაღწევად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის შექმნაში და ამ ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ვლაპარაკობ რა ეროვნული ფრონტის მნიშვნელობაზე, მე მსურს აგრეთვე აღვნიშნო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პროფესორ კორენსის ნაყოფიერი მოღვაწეობა.

ეროვნული ფრონტის პარტიების გულწრფელი და ყოველმხრივი თანამშრომლობა თქვენი წინსვლის საწინდარია. ამიტომ მე მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ პარტიების მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებაში მიღწეულ იქნას შემდგომი წარმატებანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, გერმანელი ხალხის და საყოველთაო მშვიდობის საქმის სასარგებლოდ.

ჩვენ გვესმის, რომ ასეთი თანამშრომლობის მიღწევა უბრალო ამოცანა როდია. ცხოვრებაში ადვილად როდი ხორციელდება პარტიების ურთიერთგაგება და თანამშრომლობა ყველა საკითხში. ხომ იბადება ისეთი საკითხებიც, რომლებზეც ყალიბდება სხვადასხვა თვალსაზრისი. ასეთი საკითხების გადაჭრისას საჭიროა გამოვიჩინოთ პოლიტიკური სიბრძნე: რაკი არსებობს პარტიების კოალიცია, საჭიროა ანგარიში გაეწიოს ამ კოალიციაში შემავალი პარტიების ინტერესებს, ვეძებოთ და გამოვნახოთ ყველა საკითხის გადაჭრის გზები. ამასთან, ცხადია, უნდა ვეყრდნობოდეთ ურთიერთდათმობის საჭიროებას, მაგრამ ამ დათმობებმა ზიანი არ უნდა მიაყენონ ძირითად მიზანს, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ისახავს. მხოლოდ ასე შეიძლება განმტკიცდეს პარტიების კოალიცია და, მაშასადამე, გამრავლდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მიღწეული მონაპოვარნი.

ამოცანა, რომელიც დასახულია გერმანელი ხალხის წინაშე და რომელსაც ექცევა მილიონობით გერმანელის ყურადღება, — არის გერმანელი ხალხის გაერთიანება გერმანიის ერთიან მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ჩვენ მუდამ მზად ვართ მთელი ძალებით შევუწყოთ ხელი ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას. ჩვენ რეალისტები ვართ; ყოველი პოლიტიკური საკითხის გადაჭრისას და ამ საკითხის გადაჭრისას ჩვენ ფხიზლად უნდა შევაფასოთ შექმნილი პირობები. გერმანიის სახელმწიფოს გაერთიანება ისეთი გზით, რომ იგი სასარგებლო იყოს გერმანელი ხალხისა და ევროპის ხალხებისათვის, ერთ მხარეზე როდია დამოკიდებული. აქ გამოდის ორი მხარე: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა. გარდა ამისა, არის კიდევ ოთხი სახელმწიფო, რომლებიც დაკავშირებული არიან გარკვეული პირობებითა და ვალდებულებებით და რომელთა შეხედულებანი გერმანიის საკითხის გადაწყვეტაზე დღემდე ჯერ კიდევ სხვადასხვაა. ამიტომ ჩვენ არ უნდა შევქმნათ ყალბი ილუზიები.

როგორც ცნობილია, მალე მოხდება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ჟენევაში, სადაც სხვა საკითხებს შორის დასმული იქნება გერმანიის საკითხიც. ჩვენი თვალსაზრისი ამ საკითხში ნათელია. ჩემს გამოსვლაში მინდა შევეხო კონკრეტულ ფაქტებს. ფაქტები კი ასეთია: ოთხი სახელმწიფოდან, რომელთა საგარეო საქმეთა მინისტრები ჟენევაში იკრიბებიან, სამი სახელმწიფო ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში (ნატოში) შედის, ხოლო ერთი სახელმწიფო არ შედის ამ ბლოკში. უფრო მეტიც, ნატო მიმართულია ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ. სამი სახელმწიფოს მთავრობებს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად სურთ, რომ გერმანიის გაერთიანება მოხდეს მათი პირობებით და რომ გაერთიანებული გერმანია აგრეთვე შევიდეს ნატოში. ვფიქრობ, ასეთი გზა არ შეესაბამება გერმანელი ხალხის ინტერესებს, არ შეესაბამება ევროპის ხალხთა უშიშროების და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებს. ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით მოვლენათა განვითარების ისეთ მსვლელობას, რომელთა შედეგად გაძლიერდება ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკი (ნატო), რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამიტომ, როცა მოლაპარაკება წარმოებდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან, ჩვენ მთელი გულახდილობით ვუთხარით ბატონ ადენაუერს: ნუ მოითხოვთ ჩვენგან იმას, რის მოცემაც არ შეგვიძლია. ჩვენ ვერ შევუწყობთ ხელს გერმანიის გაერთიანების თქვენს გეგმას, ვერ შევუწყობთ ხელს ნატოს — ესე იგი ორგანიზაციას, რომელიც მიმართულია ჩვენს წინააღმდეგ, მიმართულია მშვიდობის საქმის წინააღმდეგ. ვფიქრობ, გერმანელები ანალოგიურ შემთხვევაში ასევე მოიქცეოდნენ.

პარიზის შეთანხმებათა ხელმოწერამ და ძალაში შესვლამ, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შესვლამ ნატოში სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნეს გერმანიის ერთიან სახელმწიფოდ გერმანიის ორი ნაწილის გაერთიანებას.

ისმება კითხვა: როგორღა დაკმაყოფილდება გერმანელი ხალხის მისწრაფება გაერთიანებისადმი; განა არსებული მდგომარეობა სამუდამოდ დარჩება? ამაზე ჩვენ ზუსტად და გარკვეულად ვუპასუხებთ: გერმანელებმა თვითონ უნდა გადაჭრან ეს საკითხი. გერმანელებო, ერთ მაგიდასთან! გერმანიის საკითხს გერმანელებზე უკეთ ვერავინ ვერ გადაწყვეტს. გერმანიის გაერთიანება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ გერმანიის ერთიანი სახელმწიფო იყოს მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული, რომ გერმანიის სახელმწიფოს ძალები არ იყოს მიმართული სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ. გერმანიის საკითხის ასეთ გადაჭრას ჩვენ ყოველი ღონისძიებით შევუწყობთ ხელს.

ცხადია, რომ ახლანდელ პირობებში გერმანიის საკითხის ასეთ საფუძველზე გადაჭრა ძნელი საქმეა. ჩვენ ამას წინათ შევხვდით და საუბარი გვქონდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან. მოლაპარაკებამ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ცხადყო, რომ ამ საკითხის მალე გადაჭრის გზაზე დიდი სიძნელეებია. როცა მიმდინარეობდა მოლაპარაკება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციასთან, ერთ-ერთი შესვენების დროს ბატონი ადენაუერი მარწმუნებდა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი თითქოს შექმნილია მშვიდობიანი მიზნებისათვის, რომ თითქოს ეს ორგანიზაცია სრულიად არ ემუქრება საბჭოთა კავშირს. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ პარიზის შეთანხმებები სამხედრო შეთანხმებებია. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ნატო შექმნილია როგორც სამხედრო ორგანიზაცია, რომ ნატოს ევროპაში ჰყავს თავისი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი — გენერალი გრიუნტერი. მაშასადამე, ნატო სპორტული ორგანიზაცია როდია, იგი შექმნილია არა სპორტულ შეჯიბრებათა მოსამზადებლად, არა ფეხბურთის თამაშისათვის. ცნობილია, რომ გრიუნტერი არ ირიცხება ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელად, ყველა იცნობს მას როგორც გენერალს, რომელიც „წვრთნის გუნდს“ ომისათვის და სახელდობრ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომისათვის. ეს არ შეიძლება არ შევნიშნოთ.

ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ჩვენთვის, რომ ნატო იქმნება თავდაცვის მიზნით. თავის დროზე ჩვენ მივმართეთ ნატოს მონაწილეებს და ვუთხარით: თუ ნატო შექმნილია თავდაცვისათვის, ჩვენ აგრეთვე გვსურს შევიდეთ ამ „თავდაცვით ორგანიზაციაში“. მაგრამ, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი არ მიიღეს. ეს ფაქტიც მოწმობს, რომ ნატო მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სავსებით ცხადია, რომ პარიზის შეთანხმებათა ძალაში შესვლამ, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შესვლამ ნატოში სერიოზული ბარიერი შექმნეს გერმანიის საკითხის გადაჭრაში. ჩვენ ვაყენებთ ერთადერთ სწორ გამოსავალს — ამ საკითხის გადაჭრა გადაეცეს გერმანელ ხალხს. გერმანელები გამონახავენ მისი სწორი გადაჭრის გზას.

ვფიქრობ, გამოვხატავ ჩვენს საერთო აზრს, თუ ვიტყვი, რომ გერმანელი ერი და საბჭოთა კავშირის ხალხები დაინტერესებული არიან იმით, რომ ჰქონდეთ მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა.

მინდა ვთქვა, რომ, ალბათ, რაღაც დროის განმავლობაში მოგვიხდება ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ გერმანიაში არსებობს ორი სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის შეიქმნა გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა. საბჭოთა მთავრობა აგრეთვე ყოველი ღონისძიებით ეცდება გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან მეგობრული ურთიერთობის მოგვარებას და მისი მისწრაფება იქნება, რომ ხელი შეუწყოს გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებას.

მე მსურს როგორც კომუნისტს და როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვთქვა ისე, რომ ჩემი თვალსაზრისი არ მოვახვიო თავს ყველა დამსწრეს, რომ ჩვენი პარტიის წინაშე, რომელიც ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრებით, დგას უაღრესად კეთილშობილური ამოცანა — კომუნიზმის აშენება. ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ არ იყოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რომ ადამიანი ადამიანისათვის იყოს მეგობარი, რომ შრომის სიკეთე და მეცნიერების სიკეთე მთელ ხალხს ემსახურებოდეს. ყველა ხალხი რომ დაადგებოდეს განვითარების ასეთ გზას, მაშინ ეს გამორიცხავდა არა მარტო ომების შესაძლებლობას, არამედ აგრეთვე რაიმე შეიარაღებულ კონფლიქტს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომლები დაადგნენ სოციალისტური მშენებლობის გზას. ეს დიდი ისტორიული მოვლენაა გერმანელი ხალხის ცხოვრებაში. და ამ გზაზე თქვენ გაქვთ ჩვენი მხარდაჭერა. ჩვენ გისურვებთ სრულ წარმატებას თქვენს დიდ აღმშენებლობითს მუშაობაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ შეძლებთ ახალ გამარჯვებათა მოპოვებას ამ გზაზე. სოციალიზმის მშენებლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმდენად დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომ ახლა ძნელიც კია გამოინახოს სიტყვები, რომ სწორად გამოითქვას ამ საქმის მთელი მნიშვნელობა და სიდიადე.

სოციალიზმის აშენება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეეფერება გერმანიის ყველა მშრომელთა ინტერესებს. ბევრი იმ მუშის, რომლებიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისა და სხვა პარტიების რიგებში იმყოფებიან, მისწრაფება იქნება ხელი შეუწყონ გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს აშენებას. მაგრამ ბრძოლა სოციალიზმისათვის, გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს აშენებისათვის, — ეს რა თქმა უნდა, თვით გერმანელი მუშათა კლასის, გერმანელი ხალხის საშინაო საქმეა.

მე უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ამოცანა ის არის, რომ შექმნას მთელ გერმანელ ხალხთან კარგი კეთილმეზობლური მეგობრული ურთიერთობა. ჩვენ არავითარი ეჭვი არა გვაქვს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები აგრეთვე ესწრაფვიან ამას.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერმა ბატონმა ადენაუერმა მოსკოვში მოლაპარაკების დროს აგრეთვე განაცხადა, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა ისწრაფვის მეგობრული ურთიერთობა განავითაროს საბჭოთა ხალხთან. მე უფლება არა მაქვს საეჭვოდ გავხადო ეს განცხადება. ჩვენ მივესალმებით ამ კარგი სიტყვების კარგი საქმეებით განმტკიცებას.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელთანაც წარმატებით ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, სიტყვები და დაპირებანი არ შორდებიან პრაქტიკულ საქმიანობას და დარწმუნებული ვართ, რომ კვლავაც ასე იქნება. ჩვენი მეგობრობა და ურთიერთობა დღითიდღე განმტკიცდება.

ჩვენ აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ შემდგომში დამაკმაყოფილებლად განვითარდება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობა. მაგრამ, როგორც რუსული ანდაზა ამბობს: ვიცოცხლებთ — ვნახავთ. ჩვენი მხრივ ყოველივეს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობა წარმატებით ვითარდებოდეს. როგორც საბჭოთა კავშირი, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა დაინტერესებული არიან, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ფართოდ განვითარდეს ვაჭრობა და კულტურული ურთიერთობა. ეს დიდ სარგებლობას მოუტანს გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს.

მე მსურს აზრი გამოვთქვა ერთ კერძო საკითხზე — ყოფილ სამხედრო ტყვეებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან როგორც სამხედრო დამნაშავენი. თქვენ გახსოვთ, რომ ამ საკითხზე ამხ. ბულგანინმა და მე აზრები გაგიზიარეთ, როცა ბერლინში ვიყავით ჟენევიდან მომავალნი. ამ საკითხზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხ. პიკმა წერილით მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ვოროშილოვს.

როცა ჩვენთან ჩამოვიდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაცია, მანაც დასვა ეს საკითხი ჩვენს წინაშე და იგი დაუკავშირა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას. ჩვენ განვუცხადეთ ბატონ ადენაუერსა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებს, რომ ამ საკითხს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მოლაპარაკებასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ და რომ მისი გადაჭრა შეუძლია მხოლოდ საბჭოთა კავშირს, იმიტომ რომ ამ ადამიანებმა დანაშაული ჩაიდინეს

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

## ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის დასასრული

საბჭოთა ხალხის წინაშე და ისინი ამისათვის მსჯავრდადებულნი არიან საბჭოთა სასამართლოს მიერ. მაგრამ დრო მიდის, და ადამიანები იცვლებიან. ზოგი იცვლება კარგი მხრივ, ზოგი კი ცუდი მხრივ. მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა მაინც კარგი მხრივ იცვლება. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეიძლება დაკმაყოფილდეს თხოვნა ამ ადამიანთა ვადამდე განთავისუფლების შესახებ. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ მათ ჰყავთ ნათესავები და მახლობლები, რომლებიც მიელიან მათ როგორც მამებს, შვილებს, ქმრებსა და ძმებს. ჩვენ გვესმის, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს ამ ადამიანურ გრძნობებს. ამ ადამიანებმა უკვე მოიხადეს პატიმრობის მნიშვნელოვანი ვადა, და იმედი გვაქვს, რომ ისინი სწორად შეაფასებენ საბჭოთა მთავრობის დიდსულოვნებას და განთავისუფლების შემდეგ აღარ დაემყარებიან საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულებაში შურისძიების გრძნობას.

აი საკითხები, რომლებსაც მსურდა შევხებოდი ჩემს გამოსვლაში.

ხელშეკრულების პროექტი, რომელიც კომისიამ მოამზადა, აკმაყოფილებს, როგორც ჩანს, ორივე ჩვენს მხარეს, რაც არც თუ ისე ხშირად ხდება. უფრო ხშირად ხდება ისე, რომ საკითხების გადაჭრას უდგებიან კომპრომისის გზით. ჩვენ არა გვაქვს კომპრომისები, იმიტომ რომ არ არის სხვადასხვა თვალსაზრისის ბრძოლა, არამედ არის შეხედულებათა ერთობა, მსოფლმხედველობის ერთობა. მართალია, იმ ფაქტს, რომ ჩვენი საბჭოთა ჯარები ჯერჯერობით რჩებიან თქვენს ტერიტორიაზე, შეუძლია გამოიწვიოს ერთგვარი წყენა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ამგვარი ღონისძიების საჭიროება სწორად იქნება გაგებული. ჩვენ ყველას ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ უცხოეთის ჯარების ყოფნა, მეგობრული სახელმწიფოს ჯარებისაც კი, ყოველთვის როდი იწვევს მოსახლეობის აღტაცებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანებს შეუძლიათ გაიგონ და კიდევაც უნდა გაიგონ ამის საჭიროება არსებულ პირობებში. ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილება თქვენს ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დატოვების შესახებ დროებითი ღონისძიებაა. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ეს სასიამოვნო საქმე არ არის, და ამიტომ აქ რომ ვისმეს ეთქვა ეს სასიამოვნო გადაწყვეტილებაო, ჩვენ უნდობლობით მოვეპყრობოდით ამას. გვეთანხმებით?

**ულბრიხტი.** გეთანხმებით.

**ხრუშჩოვი.** მაგრამ ჩვენ თქვენთან ერთად მტკიცედ ვიბრძოლებთ ისეთი მდგომარეობისათვის, რომ სახელმწიფოებს შორის მიღწეულ იქნას შეთანხმება საერთოდ შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ და გერმანიაში მყოფი საბჭოთა კავშირის, ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების გაყვანის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი მზად რომ იყვნენ დღეს გააკეთონ ეს, ჩვენ შეგვეძლო ეს საკითხი ახლავე გადაგვეჭრა. ჩვენ მზად ვართ გამოვიყვანოთ ჩვენი ჯარები გერმანიიდან, მაგრამ იმ პირობით, თუ თავიანთ ჯარებს გაიყვანენ ისინი, ვინც ჩვენი პარტნიორები იყვნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს საკითხი გადაიჭრება მომავალში. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა წარმოშვა ეს იმედი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჟენევის სულისკვეთება განვითარდება და განმტკიცდება, მაგრამ არა უხილავი და შეუგრძნებადი სულის სახით, არამედ კონკრეტული მოქმედების სახით, როგორც ეს მოხდა ჩვენი მხრივ, როცა გადავწყვიტეთ 640 ათასი კაცით შეგვემცირებინა შეიარაღებული ძალები, როცა უარი ვთქვით ფინეთში პორკალა-უდის სამხედრო-საზღვაო ბაზის იჯარაზე და განვახორციელეთ მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი. ჩვენ მოველით, რომ ჩვენი პარტნიორები ჟენევაში გვიპასუხებენ ნაცვალგებით, რის შემდეგ შეიძლება იყოს ახალი წინადადებანი ჩვენი მხრივ.

ზოგიერთი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე გვისაყვედურებდა, რომ ჩვენ, თუმცა ვიღიმებოდით და მეგობრულად გვეჭირა თავი, მაგრამ თითქოს ამაზე მეტი არაფერი არ გაგვიკეთებია. განა ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ და ფინეთში სამხედრო-საზღვაო ბაზაზე უარის თქმის შესახებ კონკრეტული მოქმედება არ არის, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება?

ამავე დროს ჩვენ მოველით დასავლეთის სახელმწიფოთა მხრივ ჟენევის სულისკვეთების კონკრეტულ შედეგებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

## ოტო გროტევოლის გამოსვლა

ნება მიბოძეთ რამდენიმე დასკვნითი შენიშვნა გავაკეთო. ამხანაგმა ბულგანინმა გვაცნობა, რომ არის სსრ კავშირის მთავრობის დადგენილება უმაღლესი კომისრის უწყების გაუქმებისა და ყოფილი საკონტროლო საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ. რაც შეეხება საკონტროლო საბჭოს კანონების საკითხს, ამხანაგმა ვალტერ ულბრიხტმა დღეს აქ ჩვენი სახელით უკვე აღნიშნა, რომ, ვითვალისწინებთ რა მოვლენების საერთო განვითარებას, ჩვენ აღარ შეგვიძლია ვცნოთ საკონტროლო საბჭოს კანონები. ამრიგად, ჩვენი სურვილი ემთხვევა დადგენილებას, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო. მაგრამ ჩვენ ეს როდი მიგვაჩნია მარტო ფორმალურ აქტად, რომელსაც უნდა მოჰყვეს მთელ რიგ ღონისძიებათა გამარტივება. თქვენი დადგენილება მიგვაჩნია აგრეთვე ნდობის გამოხატულებად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებისადმი, იმისადმი, რომ ისინი მის საქმეს გადაწყვეტენ საკონტროლო საბჭოს ჩაურევლად.

ამხანაგმა ბულგანინმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩვენს მოლაპარაკებას, რომელიც დასასრულს უახლოვდება, დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს აზრი აქ განავითარა აგრეთვე ამხანაგმა ხრუშჩოვმა. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამ აზრს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულება, რომელსაც აქ ვდებთ, მისი განხორციელებისას შექმნის შესაძლებლობას საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ახლანდელი მეგობრული ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სფეროდან წარმატებით გადავიტანოთ აგრეთვე მთელ გერმანიაზე. ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი პოლიტიკური ამოცანაა ჩვენი მომავალი განვითარებისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია აგრეთვე, რომ ახლა საქმე ეხება არა მარტო ჩვენი მეგობრობის განმტკიცებას, რომ ამ ხელშეკრულების დახმარებით ჩვენ ამიერიდან საბოლოოდ მოვსპობთ ცუდ ურთიერთობას, რაც ჩვენს ხალხებს შორის არსებობდა წარსულში და რომ ჩვენს ახალ მეგობრულ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ორი პრინციპი. ორივე ჩვენი ხალხი ესწრაფვის საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც მოითხოვს დიდ და ფართო შესაძლებლობებს ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ საკითხებში. მაშასადამე, ჩვენს ურთიერთობას ფართო პერსპექტივა უნდა ჰქონდეს. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა დამყარებულია სამუდამოდ და იგი ურღვევია. ამ საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს დიდი ჰუმანური მიზნები, რომელთაც სოციალიზმი ისახავს.

მინდა კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამხანაგ ხრუშჩოვის შენიშვნებთან დაკავშირებით. უწინარეს ყოვლისა მადლობით ვიღებთ ამხანაგ ხრუშჩოვის შენიშვნებს გერმანიის მთელი პროგრესული ძალების შესახებ. ჩვენც ასეთივე აზრისა ვართ. ჩვენ დავიწყეთ ჩვენი მუშაობა როგორც ანტიფაშისტური მოძრაობა. მთელ პროგრესულ ძალებთან თანამშრომლობით დიდი ხანია გადავლახეთ ჩვენი განვითარების ეს ეტაპი. მას შემდეგ, რაც მიზნად დავისახეთ საფუძველი ჩაგვეყარა სოციალიზმისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დავუახლოვდით ამ ნიადაგზე ყველა ჩვენს მეგობარს და ახალი ამხანაგები გავხდით. დარწმუნებული ვარ, რომ გამოვთქვამ ყველა ჩემი მეგობრის აზრს, თუ დაგარწმუნებთ, რომ არ გადავუხვევთ ამ წარმატებით გზას. ამხანაგი ხრუშჩოვი ძალიან გულთბილი სიტყვებით ლაპარაკობდა საბჭოთა ადამიანების ნდობაზე გერმანიის სახელმწიფოსადმი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისადმი და მთელი გერმანიის მუშათა კლასისადმი, იგი ლაპარაკობდა ნდობაზე მშრომელი გლეხებისა და პროგრესული ინტელიგენციისადმი.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, გულითადი მადლობა გადაგიხადოთ ყველას ჩვენი მუშაობის შეფასებისათვის. თუმცა ჩვენ ძალიან ვცდილობთ არ მივეცეთ თვითდამშვიდებას, მაგრამ ჩვენი მუშაობისა და ჩვენი ადამიანების ასეთი შეფასება აღგვაფრთოვანებს მუშაობაში.

დასასრულს ვიტყვი რამდენიმე სიტყვას თქვენი, ამხანაგო ხრუშჩოვ, შენიშვნის გამო იმ ყოფილ სამხედრო ტყვეთა საკითხზე, რომლებიც სასჯელს იხდიან მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. შემიძლია მხოლოდ ძალიან მოკლედ გამოვთქვა აზრი ამის გამო და ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ, რომ ბურჟუაზიულ პრესას აინტერესებდა ფაქტი, რომ სამხედრო დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა საკითხი აქ არ ყოფილა მოლაპარაკების საგანი. რატომ არ გავაკეთეთ ჩვენ ეს? იმიტომ, რომ ჩვენ უკვე სავსებით შევთანხმდით ამის შესახებ ბერლინში. ჩვენ ამ საკითხს ვიხილავთ არა როგორც პოლიტიკურ საკითხს, ჩვენ მას ვაფასებთ აგრეთვე ჰუმანური თვალსაზრისით, რომელიც თქვენ, ამხანაგო ხრუშჩოვ, აქ განავითარეთ.

და, ბოლოს, ვიტყვი შემდეგს. ჩვენი მოლაპარაკებიდან ჩანს, რომ ჩვენი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის, რადგან ეს ურთიერთობა შეესაბამება ორივე ჩვენი ხალხისა და ევროპის ხალხების ინტერესებს. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე გულითადი მეგობარი მთელ გერმანიაში არის ჩვენი სახელმწიფოს პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი. ამხანაგმა ვილჰელმ პიკმა შარშან თქვა: „გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საქმე ჩვენ უნდა გადავაქციოთ გერმანელი ხალხის ღვიძლ საქმედ". ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ვიშრომებთ ამ განცხადების შესაბამისად და ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას გადავაქცევთ გერმანელი ხალხის ღვიძლ საქმედ.

# საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია საქართველოში

20 სექტემბერს დილით საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის პიერ შნეიტერის მეთაურობით ავტომანქანებით გაემგზავრა საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. აქ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატებმა დაათვალიერეს სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელიც აგებულია XI საუკუნეში. სტუმრები ესაუბრნენ ტაძრის წინამძღვარს ილუმენ პართენს. ფრანგი პარლამენტარების ყურადღება მიიპყრო საქართველოს სახალხო გმირის არსენ ოძელაშვილის ძეგლმა, რომელიც აგებულია მცხეთაში.

საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატმა ანტუან გიტონმა, გაუზიარა რა დამსწრეთ თავისი შთაბეჭდილებანი, თქვა:

— მე, როგორც ფრანგი, დიდ პატივს ვცემ ტრადიციებს. ამიტომ ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, რომ ვნახე, რა წმიდად იცავენ საბჭოთა ქვეყანაში ეროვნულ ტრადიციებს, რა მზრუნველობით ეპყრობიან ძველი დროის ძეგლებს.

თბილისში დაბრუნების შემდეგ პარლამენტის დელეგაციის წევრებმა გამოთქვეს სურვილი გასცნობოდნენ შამპანური ღვინოების ქარხნის მუშაობას. ისინი იყვნენ საწარმოს საამქროებში, დაწვრილებით გაეცნენ წარმოების ტექნოლოგიას, უახლეს მოწყობილობას, გასინჯეს ღვინოების ჭაშნიკი. შამპანური ღვინოების სპეციალისტმა ნ. გ. სარიშვილმა პასუხი გასცა სტუმრების კითხვებზე.

დელეგაციის მეთაურმა პიერ შნეიტერმა, რომელიც დიდი სპეციალისტია მეღვინეობის დარგში, განაცხადა:

— ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა სანიმუშო წესრიგმა წარმოებაში, მისმა მოწყობილობამ, მუშაობის მეთოდებმა და ღვინოების ხარისხმა.

დელეგაციამ დაათვალიერა საქართველოს სსრ ხელოვნებათა სახელმწიფო მუზეუმი. მუზეუმის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა შ. ი. ამირანაშვილმა სტუმრებს გააცნო ქართული ეროვნული ხელოვნების ნიმუშები.

გუშინ, 20 სექტემბერს, საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია თბილისიდან სოჭში გაფრინდა. აეროდრომზე იგი გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. ვ. მჭედლიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ა. ვ. ჰირაქაძემ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კ. მაღრაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლებმა.

გამომშვიდობებისას დ. ვ. მჭედლიშვილმა და პიერ შნეიტერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

— სანამ დავტოვებდე თქვენს მზიან ქალაქს, — თქვა პიერ შნეიტერმა, — არ შემიძლია არ გამოვთქვა მადლობა გულმხურვალე მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

— თქვენ ისევე, როგორც ჩვენ, — განაცხადა შემდეგ მან, — ქვეყნად ყველაზე მეტად გსურთ მშვიდობა, რათა მიაღწიოთ თქვენი ქვეყნის კიდევ უფრო მეტ აყვავებას. (საქინფორმი).

# დასავლეთი კედლით—სამხრეთ უშბაზე

სვანეთში (მესტიის რაიონი) მდებარეობს კავკასიონის ერთ-ერთი ულამაზესი და უძნელესი მწვერვალი უშბა (4.712 მეტრი). მისი მასივი განლაგებულია კავკასიონის სამხრეთ განშტოებაში.

მწვერვალის საგრძნობი სიმაღლე, თავისებური ფორმა, ციცაბო და მიუვალი კედლები, რომლებზეც თოვლი არ ჩერდება, დიდი ხანია იპყრობდა მსოფლიოს საუკეთესო მთასვლელთა ყურადღებას. უშბას ალპინისტური ათვისება გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში დაიწყო.

უშბაზე პირველი საბჭოთა ასვლა მოხდა 1934 წელს ცნობილი ქართველი მთასვლელის ალექსანდრე ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

1937 წელს დაძლეულ იქნა ახალი „გზა" სამხრეთ უშბაზე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. ხუთი კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა საუკეთესო მთასვლელის გ. ხერგიანის ხელმძღვანელობით სძლია ეს კედელი და მწვერვალზე ავიდა ახალი, მანამდე დაუძლეველი მიმართულებით. ჯგუფში, გარდა ხელმძღვანელისა, შედიოდნენ კარგად ცნობილი მთასვლელები: ბ. ხერგიანი, ჭ. ჩართოლანი, მ. გვარლიანი და გ. ხერგიანი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის სამხრეთ უშბაზე ასულია მთასვლელთა ათობით ჯგუფი, უშბას ალპინისტური ათვისება დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

კავკასიონის მწვერვალები საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვა მთების სისტემებისაგან გამოირჩევა თავისი ტექნიკური სირთულით. თუ ტრავერსების კლასში საქართველოს მთასვლელებს მთელი რიგი მიღწევები აქვთ, რომელთა მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის ფარგლებს სცილდება, ალპინიზმის შემდეგ ორ სახეობაში ჩვენ აქამდე ჩამოვრჩებოდით. მხოლოდ ცალკეული ქართველი მთასვლელები მონაწილეობდნენ პამირის სიმაღლოვან ასვლებში (1933-1936 წლებში — დ. წერეთელი, ა. ჯაფარიძე, ლ. მარუაშვილი). დამოუკიდებელი ექსპედიციები საქართველოს მთასვლელებს უკანასკნელ წლებამდე არ ჩაუტარებიათ. მხოლოდ 1954 და 1955 წლებში მოვაწყეთ ასეთი ექსპედიციები და შედეგიც ბრწყინვალე აღმოჩნდა.

ტექნიკურად რთულ ასვლებში უპირატესობა დღემდე რუს მთასვლელებს ჰქონდათ — ასვლები მწვერვალ ჭანჭახის ჩრდილო კედელზე, შჩუროვსკის მწვერვალის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე, ჩატინტაუს ჩრდილოეთ კედელზე და სხვ.

კავკასიონზე რჩებოდა მხოლოდ მიუდგომელი და ურთულესი სამხრეთ უშბის დასავლეთი კედელი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ სამხრეთ უშბაზე მისი დასავლეთი კედლით ასვლა სარეკორდო ღონისძიებად იქნა დადგენილი. ამ საპატიო და რთული ამოცანის შესრულებისათვის შეჯიბრებაში სხვებთან ერთად ქართველი მთასვლელებიც ჩაებნენ.

პირველი ცდა 1953 წელს მოეწყო, მაგრამ უშედეგოდ. ჯგუფი სპორტის დამსახურებული ოსტატების ჭ. ჩართოლანის, ბ. ხერგიანის, მ. გვარლიანის, ი. მარისა და პირველთანრიგოსანი ი. გაბლიანის შემადგენლობით უამინდობამ 7 დღე-ღამეს გამოამწყვდია უშბის მიდამოებში. განუწყვეტელი თოვის შედეგად წარმოიშვა ზვავების ხშირი დინება. მთასვლელებს მხოლოდ დიდმა გამოცდილებამ მისცა საშუალება თავი დაეღწიათ უშბის ტყვეობისაგან. თითქმის იგივე გამეორდა მეორე ცდის დროს — 1954 წელს.

მიმდინარე წლის ზაფხულში ჩვენი მოიერიშე ჯგუფი დაკომპლექტებული იყო იმავე შემადგენლობით. გვაკლდა მხოლოდ მ. გვარლიანი, რომელიც მიწვეული იყო პამირის სასიმაღლო ექსპედიციაში მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელად.



საქართველოს ალპური კლუბის მთასვლელთა გარდა, საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობდა მოსკოველ ალპინისტთა ჯგუფი სპორტის ოსტატის სევასტიანოვის ხელმძღვანელობით.

ჩვენი მოიერიშე და დამხმარე-მეთვალყურე ჯგუფი (დამხმარე-მეთვალყურე ჯგუფში შედიოდნენ ჯ. ხერგიანი, ა. ჯაფარიძე, ვ. ჩართოლანი, შ. ჩართოლანი და რადისტი ე. ნავერიანი) ივლისის მეორე ნახევარში უშბას ყინვარზე (3.200 მეტრი) იმყოფებოდა. აქ მოვაწყეთ ძირითადი ბაზა, ავიტანეთ ალპინისტური საჭურველი და სურსათ-სანოვაგის მარაგი, გავმართეთ რადიომიმღებ-გადამცემი.

ივლისის პირველი რიცხვებიდან კავკასიონზე განუწყვეტელი უამინდობა იყო. უშბა ყინულის აბჯარში მოექცა, რაც კიდევ უფრო ართულებდა ასვლის შესაძლებლობას. ალპინისტთა სხვა ჯგუფები, რომლებსაც განზრახვა ჰქონდათ ასულიყვნენ ჩრდილოეთ, ან სამხრეთ უშბაზე ჩვეულებრივი გზით, იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ განზრახვაზე.

ასეთ პირობებში აუცილებელი გახდა თბილისიდან ამინდის პროგნოზის მიღება. მაგრამ გადმოცემული ხუთდღიური ცნობები ამინდის შესახებ ყოველთვის უიმედო იყო. უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენს ზემოთ, უშბას პლატოს ახლოს განლაგებული სევასტიანოვის ჯგუფი.

ამინდის [illegible] უკვე აღარ იყო. გადასინჯულ იქნა ასვლის ტაქტიკა.

21 აგვისტოს გამოიდარა. დავიწყეთ მოძრაობა. მეორე დღესაც კარგი ამინდი იდგა. ჯგუფი დიდი ტვირთით სწრაფად განაგრძობდა სვლას (მარტო ყინულისა და კედლის რკინის პალოები და კარაბინები სხვა ლითონის მოწყობილობასთან ერთად 20-25 კილოგრამს იწონიდა). საშუალო ტვირთი მოიერიშე ჯგუფის თვითეულ მონაწილეზე 30-35 კილოგრამი მოდიოდა.

23 აგვისტოს ამინდი კვლავ შეიცვალა. მთასვლელთა ჯგუფი ამ დროს ისეთ ადგილას იმყოფებოდა, სადაც კარავის დასადგმელი ადგილი არ იყო. ერთ-ერთი „გუშაგის" შუბივით ამართულ წვერზე, სადაც დაყრილი თოვლი გამაგრებულიყო, მოხერხდა პატარა ალპინისტური კარავის დასადგმელად საჭირო ფართობის ამოჭრა. „გუშაგის" წვერზე დადგმულ კარავში გავატარეთ ხუთი დღე და ექვსი ღამე საშინელი ქარბუქის პირობებში.

მხოლოდ 29 აგვისტოს გამოიდარა. გათენებისთანავე გავედით კედლის უკანასკნელი მონაკვეთის იერიშზე. 12 საათისათვის ყველაფერი სქელმა ღრუბელმა დაფარა. ხანგამოშვებით თოვდა. წინ მიმავალს თოკის ბოლოზე მყოფი ვერ ხედავდა. უკან დაბრუნება უკვე ისეთივე საშიშროებას წარმოადგენდა, როგორც წინსვლა. ასეთ სახიფათო მომენტებში შეუპოვრები არიან ბ. ხერგიანი და ჭ. ჩართოლანი. ისინი თითქოს „ყნოსვით" გრძნობენ სწორ მიმართულებას. ღამე თოკებზე დაკიდებულ მდგომარეობაში გავატარეთ. ჩამოსაჯდომის პოზაზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო. განუწყვეტელი თოვისაგან თავზე ჩამოფარებული წყალგაუვალი ტომრები გვშველოდა. მოყინვის საშიშროებაში აღმოვჩნდით.

30 აგვისტოს ხანგამოშვებით თოვდა, ჰქროდა ძლიერი ქარი. გაჩერება სახიფათო იყო. განვაგრძეთ კედელზე მოძრაობა. ღამის თევა იმავე პირობებში მოგვიხდა. 31 აგვისტოს ამინდი ცოტათი გაუმჯობესდა. აღარ თოვდა. დროგამოშვებით ორიენტირების საშუალება გვეძლეოდა. ღამით მოხერხდა კარავის სანახევროდ დადგმა.

პირველ სექტემბერს დღის სამ საათზე სამხრეთ უშბის მწვერვალზე ვიყავით.

12 დღის უსასტიკესი ბრძოლის პირობებში გადაწყვეტილ იქნა საბჭოთა ალპინიზმის ურთულესი ამოცანა—სამხრეთ უშბაზე მისი დასავლეთი კედლით ასვლა. ასვლის სიძნელის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ უშბის ყინულოვან აბჯარში გაჭრილ იქნა 1.800-მდე საფეხური.

ამ ურთულესი ალპინისტური ამოცანის გადაწყვეტაში ძირითადი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის საამაყო მთასვლელების, სპორტის დამსახურებული ოსტატების ჭ. ჩართოლანისა და ბ. ხერგიანის დიდმა ალპინისტურმა ოსტატობამ, გამძლეობამ, შეუპოვრობამ, ვაჟკაცობამ.

**ი. მარი,**
ექსპედიციის უფროსი.

* * *

**სურათზე:** სამხრეთ უშბის დასავლეთი კედელი. წყვეტილი ხაზებით ნაჩვენებია ალპინისტთა ჯგუფის მოძრაობა.

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი გეტებორგში

**გეტებორგი, 19 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.).** გუშინ მე-20 ტურში თამაშის უკანასკნელ საათში დამთავრდა კიდევ სამი პარტია. გელერმა შტალბერგის წინააღმდეგ დაბოლოებაში მიიღო ორი რკუს უპირატესობა და ზუსტი თამაშით თავისი პოზიციური უპირატესობა გამარჯვებამდე მიიყვანა. კერესმა მოუგო სლივას. ყაიმით დამთავრდა სპასკიუნციკერის და მედინა-პილნიკის პარტიები.

დღეს გათამაშდა დაუმთავრებელი პარტიები. ბრონშტეინმა მოუგო ფუდერერს. პანომ გაიმარჯვა ბისჰაიერთან პარტიაში. პახმან-გიმარის პარტია ყაიმით დამთავრდა.

უკანასკნელი ტური გაიმართება 21 სექტემბერს.

**გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი.**

## შეხვედრა პამირის ექსპედიციის მონაწილეებთან

19 სექტემბერს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის 1955 წლის პამირის ექსპედიციის მონაწილეებთან შეხვედრის საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. მოხსენება — „ლაშქრობა პამირზე" გააკეთა ექსპედიციის უფროსმა ო. გიგინეიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ ექსპედიციის მონაწილეები დ. ობოლაძე და ჯ. მეძმარიაშვილი. მთასვლელებს მიესალმნენ ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კეცხოველი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მ. ბექაიშვილი, უხუცესი ალპინისტი ი. ლუკაშვილი, ცნობილი მთასვლელი ალექსანდრა ჯაფარიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. მარი და სხვ.

ექსპედიციის მონაწილეები დაჯილდოებული არიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის, ნაპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკისა" და „კოლმეურნის" სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

რედაქტორის მოადგილე
**რ. ჭურციკიძე.**


**თბილისის „დინამოს" სტადიონი**

22 სექტემბერს

**ფეხბურთი**

საქართველოს პირველობაზე

**„დინამოს" I გუნდი — 26 კომისრის რაიონის გუნდი**

დასაწყისი 5 საათზე.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სათანადოდ შემოწმებული შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, ცნობა სამეცნიერო ხარისხის და სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია და თვით ნაშრომები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების რეცენზია, ფოტოსურათი.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადებები მიიღება დირექტორის სახელზე (ძერჟინსკის ქ. № 8).

**ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი** აცხადებს, რომ სახელმწიფო გამოცდები იწარმოებს 3-დან 31 ოქტომბრამდე. განცხადებები სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ მიიღება 30 სექტემბრამდე. გამოცდების ჩაბარების უფლება აქვთ სტაციონარისა და დაუსწრებელი განყოფილების იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც 1953, 1954 და 1955 წლებში ჩააბარეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი.

მოქალაქე გიორგი ერისტოს-ძე კოხრეიძემ, მცხოვრებმა კიბალჩიჩის ქ. № 3, აღძრა საქმე კურგანის ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე **სირანა ალექსის ასულ მინასოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **პავლე ალექსანდრეს-ძე სხირტლაძემ**, მცხოვრებმა თოფურიძის ქ. № 57, აღძრა საქმე პუშკინის ქ. № 11 მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ივანეს ასულ სხირტლაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე არტო, შვილები გრიგოლ, მარგო, ანეტა, თამარ, და ვარა, ძმები გეელო, გასპარ ოჯახებით იუწყებიან

**სალომე ალექსანდრეს ასულ არუთინოვა-აკოფოვის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-IX, 8 ს. გამოსვენება 22-IX, 6 ს. ფიგნერის ქ. № 8.

შვილი შალვა, ძმა გრიგოლ ოჯახებით იუწყებიან

**მაშო ბეჟანის ასულ ასათიანი-ახვლედიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IX ქ. ქუთაისში. გამოსვენება ლუნაჩარსკის ქ. № 1.

შვილი ირინე, და აზა, ძმა ვასილ ოჯახებით იუწყებიან

**მარიამ ელიზბარის ასულ ქებაძე-გეპნერის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-IX, 8 ს. გამოსვენება 22-IX, 5 ს. აკ. წერეთლის ქ. № 15.

26 კომისრის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი იუწყება

**არსენ ივანეს-ძე ოსაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-IX, 8 ს. გამოსვენება 22-IX, 5 ს. კიბალჩიჩის აღმართი № 10.

გალინა, ალექსანდრე, აზა, მარიამ შავერზაშვილები, ლევან, თამარ, არჩილ, ელენე, ნათელა გოკიელები იუწყებიან

**თამარ ანტონის ასულ შავერზაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22, 23-IX, 8 ს. ბარნოვის ქ. № 51. გამოსვენება 24-IX, 5 ს. სახელმწიფო კონსერვატორიის შენობიდან, გრიბოედოვის ქ. № 8.

დედა ნინო, და ხატიჯე ნათესავებით იუწყებიან

**ცაგო შალვას ასულ ქორიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-IX, 6 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება არტილერიის ქ. № 46.


**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 04295 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14